ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

10

83

ეშეკრული

ნახ. ზ. ლეჟავავანი

— ყველა უქნარა სამარცხვინო ბოძზე უნდა გავაკრათ!
— გაგვინადგურებია ჩვენი სოფლის ტყე და, ეგაა!

ნახ. ჯ. ლოლუასი

60 წლის „ზარია ვოსტოკას“!

ხარ საქართველოს
მშრომელთა
უსაყვარლესი
გაზეთი! —
განთიადივით
შებრწყინდი
ყველას გულში და
გამზევდი!
ანთიხარ ხალხთა
ძმობისა
და მეგობრობის
მზის სხივით
და გშვენის
რედაქტორობა
ნიკოლოზ
ჩერქეზიშვილის!

შენი ერთგული “ნიანგი“

საშიში დაავადებები

ცილისმწამებელი, რომელიც ბრმა შურისძიების გრძნობითაა შეპყრობილი, ზიანს აყენებს როგორც საკუთარ, ასევე სხვათა ჯანმრთელობას.

დაავადების წყაროა შხამი, ცილისმწამებლის გულში რომ გროვდება წლების მანძილზე. ავადმყოფი გარეგნულად კარგად გამოიყურება, რადგან ცილისწამება სულიერი დაავადებაა და მხოლოდ გარკვეულ მომენტებში იჩენს თავს.

დამახასიათებელი თვისებები:

სიძულვილი ადამიანთა მოდგმისადმი ანუ მიზანტროპია.

ავადმყოფური მიდრეკილება წერითი მოღვაწეობისადმი — წერის მანია.

სადიზმი, რასაც სიხარულით გამოხატავს, როცა ადამიანები იტანჯებიან მისი მიზეზით.

ამა თუ იმ ნაცნობის რაიმე წარმატება ავადმყოფში შურისძიების სურვილს იწვევს და ალერგიულად მოქმედებს. ამ დროს მას მოუსვენრობა იპყრობს.

დაავადებას მოვლითი ხასიათი აქვს და მეტწილად ღამღამობით იჩენს თავს: ავადმყოფს ძილი უტყდება, სხეული უცახცახებს, სახე ეღრიცება, კბილებს აკრაჭუნებს და უმიზეზოდ იგინება. განსაკუთრებით აწუხებს მარჯვენა ხელის ქავილი და იყენებს თვითმკურნალობის ხერხს: იღებს ქაღალდს, კალამს და თხზავს დეტექტივებს, რომელთაც ცილისმწამებლური ხასიათი აქვთ და ზოგჯერ საგამომძიებლო ორგანოებიც კი შეჰყავთ შეცდომაში (ამ დეტექტივების პერსონაჟები რეალური, პატიოსანი ადამიანები არიან).

წერის პროცესში ავადმყოფი გამოჰყოფს შხამს, რასაც ჯერ ქაღალდზე ანთხევს და მერე ადამიანებს წამლავს. ამის წყალობით თანდათან გამოდის მდგომარეობიდან და „ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი“, მშვიდი და ღრმა ძილით იძინებს.

ცილისმწამებელი მოკრძალებულია ძველი ქართველი ხუროთმოძღვარივით და არსად ამხელს თავის ვინაობას. უკიდურეს შემთხვევაში, ფსევდონიმს იყენებს, მაგრამ ჰონორარს არ ითხოვს.

ზოგჯერ იგი არღვევს უსაფრთხოების წესს და თავის ვინაობას ამჟღავნებს. ეს მაშინ ხდება, როცა დაავადება უმაღლეს სტადიაშია.

მიუხედავად იმისა, რომ უამრავი ფაქტი და არგუმენტი მოჰყავს, ცილისმწამებელი მხოლოდ ერთ რამეს ასაბუთებს — თავის უსინდისობას.

ყველა კარგად ხვდება ანონიმური წერილის ქვეტექსტს — გამოიყენოს ზემდგომი ორგანოები პირადი ანგარიშსწორებისათვის.

დაავადება ძნელი მოსარჩენია, რადგან ავადმყოფის ვინაობაც კი გაურკვეველია. განკურნების საშუალებაა ცილისმწამებლის საჯაროობაზე გამოყვანა. ამის შემდეგ იგი თავს ანებებს „სამწერლო მოღვაწეობას“, დაავადების მკვებავი შხამიც კლებულობს ორგანიზმში და ავადმყოფობაც თანდათან ცხრება.

ალმანზორ თავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსოვდეს!..

შეგონება ექსტრამოდური ლექსად

გამრჯელნი, ძველ დროს, საკუთარ ტყავში ძვრებოდნენ,
კვირაში ექვს დღეს,
დღეს, მეშვიდეს, კი ბაზრობაზე, ღვინით სავსე
ყანწივით სცლიდნენ
და თუ რამ ჭარბი ჰქონდათ: საზრდელ-შესამოსი,
ნივთი თუ ხე-ტყე,
არსობისათვის აუცილებლად რაც სჭირდებოდათ,
იმაზე ცვლიდნენ.
გამოხდა ხანი და, სახმარი საქონლის თუ
ფუფუნების საგნების გაცვლა
გააიოლეს ოქრო-ვერცხლის მონეტებით,
ქაღალდის ფულით,
რამაც ბევრს, დიახ, სამწუხაროდ, ბევრს დაავიწყა,
რომ იშვა კაცად
და მამულს, ერს, რჯულს ამჯობინა ღირებულების
საზომი —
ქვესკნელს ჩაფლული.
ამჟამად, ზოგის ხელიდან წასვლა, ზნით დაცემა
ამაზე უფრო?!
ზოგს რომ სჭირდება, ისეთ სკამზე ზის,
მეტი აქვს სამჯერ,
მაგრამ მის ტვინზე მხოლოდ ფულის ფლობის
მანია უფლობს
და იმსახურებს სასჯელთა შორის ყველაზე
უმკაცრეს სასჯელს!
ვკითხულობ: ის, ვინც ასე უსაშველოდ სცოდავს,
რად სცოდავს?! რისთვის?!
(ნუთუ, ვერ ხედავს დღენი ჩვენი ისეც ქრიან
ქარული ქროლვით),
რომ ღორმა ცოლმა ბრილიანტებიანი ბაჯაღლოთი
შეისალტოს ათივე თითი
და ერთადერთი ბარტყი, მისი საუგო, მონახვეჭს დააცხრეს,
ვით წინილს ქორი?!
ნორა და რამინ ზარანდიები ნაარმს რომ არ
აფრიალებენ,
ალალი გარჯით ჩვიდმეტ იმედს ვითომ ცუდად
აფრთიანებენ?!.
პირიქით, მათი და მისთანათა თვალებალმასა,
ლაღი მართვენი
გამოვლენ ომში გაუკვდავებულ ცხრა ძმასავით
ნაღდი ქართველნი!
მრუდ გზაზე მდგომო, ცრუ ვაჟკაცო, შეგონებით
მიტომ მოგმართავ,
გმოყვრობ, რადგანაც ჩვენი საერთო წინაპარი
ადამი არი,
ჰოდა, გთხოვ, წელნი — წილნი შენნი — გამჩენმა რომ
ხონჩით მოგართვა,
ისე გალიო, ძილშიაც კი „გახსოვდეს, რომ ხარ
ადამიანი!“

ქიშვარდ ისაკაძე

გორისა და **წითელწყაროს** რაიონებში დამატებითი გამოძიებისათვის აბრუნებენ ყოველ მესამე საქმეს.

გაზეთებიდან

ნახ. მ. აბაშიძისა



დაბრუნებული საქმე



ნახ. ბ. ფირცხალავასი

— ორმოცი წელია, ერთ სამსახურში ვარ და გაძლიერებული პენსია აღარ მეკუთვნის?!.
— შენ რომ სამსახურში დადიხარ, ორმოცის კი არა, ხუთი წლის სტაჟიც არ შეგიგროვდება!

ნახ. ბ. ლომაძისა



— რატომ იგვიანებთ სისტემატურად სამსახურში?!
— მიჩვეული ვარ: ათი წელი მატარებლის გამცილებელი ვიყავი!



თემურ ჩხაიძე, მუშაობდა „აკარავტოტექმომსახურების“ საწარმოო გაერთიანების **№ 4 ტექმომსახურების სადგურში**. ოესტორან „ინტურისტის“ ბარში. მეგობართა წრეში. ღრეობა გამართა. უზომოდ გამომთვრალი, საკუთარი მანქანის საკეს მიუჯდა. სიმთვრალემ თავისი ქნა: გალეშილმა ავტომოთარეშემ მანქანა ტროტუარზე მდგარ -ორ მოქალაქეს დაეჯახა — ერთი მათგანი — **ს. რ. კუტალაძე** 35 მეტრ მანძილზე ათრია!.. იგი გარდაიცვალა!.. ხოლო მეორე — **თ. ი. ძნელაძე** დაშავდა!.

თ. ჩხაიძემ არათუ არ გააჩერა მანქანა, არამედ უფრო დიდი სიჩქარით მოკურცხლა შემთხვევის ადგილიდან და ერთ-ერთი ხიდის მოაჯირს დაეჯახა!.. მანქანა გადაბრუნდა!.. თ. ჩხაიძე ძლივს გამოიყვანეს კაბინიდან!..

ქ. ბათუმის სახალხო სასამართლო თ. ჩხაიძეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და სასჯელის მოხდის შემდეგ 4 წლით აუკრძალა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვა. დამნაშავეს დაეკისრა, აგრეთვე, დაობლებული ოჯახის სასარგებლოდ ერთდროულად 2170 მანეთის, ხოლო ბავშვების სრულწლოვანებამდე, ყოველთვიურად, სათანადო თანხის გადახდა.

სპირდონ მათეოსიანი. ქ. **ლანჩხუთში** შეხვდა თავისი ბავშვობის მეგობარს, **ჯამბულ ებრალიძეს**. ამას ხომ „აღნიშვნა“ სჭირდებოდა და ორივენი ზომაზე მეტად გამოთვრნენ, ისე, რომ ერთმანეთს ვეღარ ცნობდნენ. მერე „მეგობრებმა“ იჩხუბნეს. ჯ. ებრალიძემ სცემა ს. მათეოსიანს. ნაცემი შინისკენ გაიქცა. თოფი გამოიტანა და ჯ. ებრალიძეს მოსაკლავად მიეჭრა ეზოში, ორჯერ ესროლა კიდეც. ჯ. ებრალიძე მძიმედ დაიჭრა, მაგრამ, ექიმების მეცადინეობით, სიკვდილს გადარჩა.

ს. მათეოსიანს, რომელმაც დამამძიმებელ გარემოებაში ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული, ლანჩხუთის სახალხო სასამართლომ 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით!..

ესეც შენი მეგობრობა-ძმაკაცობა!

გელა თევდორაშვილი. **საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი, კომკავშირელი.** თბილისიდან გორში გაემგზავრა ვინმე **ი. ჩიგორევის** პირადი „ვოლგით“, რომელშიც სამი თავისი ამხანაგიც ჩაისვა. გ. თევდორაშვილს არც მინდობილობა ჰქონდა და არც მანქანის მართვის უფლება, თანაც მანქანა ტექნიკურად გაუმართავი იყო.

გორიდან დაბრუნებისას, სოფელ საქადაგიანოს შესასვლელთან, გ. თევდორაშვილმა დიდი სიჩქარე განავითარა, მოსახვევში მანქანა გადააბრუნა, რის შედეგადაც ერთი მგზავრი — **გ. თ. მარგველაშვილი** — რამდენიმე დღეში გარდაიცვალა!.. სხვებიც დაზიანდნენ, ხოლო მანქანის პატრონმა. ჩიგორევმა, 764 მანეთის მატერიალური ზარალი განიცადა.

კასპის სახალხო სასამართლომ ავტომოთარეშე გ. თევდორაშვილს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ხოლო ი. ჩიგორევის მიმართ, რომელმაც არ უზრუნველყო თავისი კუთვნილი ავტომანქანის დაცვა, გამოიტანა კერძო განჩინება, რაც თბილისის გარნიზონის სამხედრო პროკურატურას გადაეგზავნა.

სულიკო წურწუმია და ანზორ პერტაია. **გეგეჭკორის რაიონის სოფელ კიწიის მცხოვრებნი.** მათ ერთნაირი გატაცებით ემარჯვებოდათ მეზობლებზე ყაჩაღური თავდასხმაც და მაღაზიის გაქურდვაც, ამასთან, მოკვლით ემუქრებოდნენ იმათ, ვინც მათ დანაშაულს გაამხელდა!..

მაგრამ არ შერჩათ არც **პელაგია ხაინდრავას** ოჯახის აწიოკება ფულის გატაცების მიზნით, არც **მეორე გურძემის მაღაზიიდან რვა ტომარა შაქრის მოპარვა**, არც **ა. ა. წურწუმიას** დანით დაჭრა და არც მაღაზიის გამგის **გ. დამენიას** მიმართ მოკვლით დამუქრება!..

სამართალმა პური ჭამა: გეგეჭკორის სახალხო სასამართლომ ს. წურწუმიას, რომელიც კიწიის 8-წლიანი სკოლის დარაჯად მუშაობდა, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, ხოლო კიწიის კოლმეურნეობის წევრს ა. პერტაიას — 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გიორგი გიჭაშვილი. ვერაფერი შვილი ბიჭობა გამოიჩინა მან, რაკი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას გულგრილად მოეკიდა. ამ საქმის ისტორია ასეთია: გ. ბიჭაშვილი **„საქმანქანათა“ საგამოცდო სადგურის კომენდატად** მუშაობდა. ამავე დროს, შეთავსებით — **მცხეთის რაიონის წეროვნის უნივერმაღის ღამის დარაჯობაც დაიწყო** (მორიგეობა უწევდა ორ ღამეში ერთხელ).

მაგრამ, ერთხელაც, ღამის საათებში, მიატოვა საგუშაგო და სახლში გამოსაძინებლად წავიდა. ქურდებმა ამით ისარგებლეს, გატეხეს მაღაზია, საიდანაც 9.634 მანეთის მატერიალური ფასეულობანი გაიტაცეს (სამწუხაროდ, ქურდები დღემდე ვერ იპოვეს!).

მცხეთის სახალხო სასამართლომ მ. ბიჭაშვილს მიუსაჯა ერთი წლის ვადით გამასწორებელი მუშაობა სხვა ადგილზე მოხდით, ხელფასიდან 20 პროცენტის დაკავებით. მასვე დაეკისრა ზარალის — 9.634 მანეთის გადახდა.

ს. ხვამლელი

ანონიმისტს

ნიჭიერს და პატიოსანს
დააყენებ ყირამალა!..
ლაფში მოთხვრი სანიმუშოს,
ბოროტ› არქმევ ნაღდს და ალალს!

არ ასვეხებ მარცხენათი
არც ქაღალდს და არცა კალამს! —
„საუცხოო“ მსროლელი ხარ:
ისარს ისვრი, მშვილდს კი მალავ!

არვინ შეგარჩენს!

ვინც შენ არ მოგწონს, სუყველას
ათას ბნელ საქმეს აბრალებ!..
ჭორ-მართალს აერთიანებ
და თვალახელილს აბრმავებ!..

ხალხს ყურიცა აქვს, თვალიცა! —
არვინ შეგარჩენს იმ ცოდვებს!..
მუშტებით მახათს არ სცემენ! —
ეს კარგად უნდა იცოდე!

ზოთა ხოდაშნელი

სიმთვრალისათვის ჩამორთმეულ ავტომანქანებს მეტწილად, როგორც წესი, მიჰყიდიან ბრალეულის ოჯახის წევრებს, ან მის ახლო ნათესავებს და, ფაქტობრივად, მანქანის მფლობელად კვლავ ბრალეული რჩება!

გაზეთებიდან

ნახ. - აბაშიძისა



მე კი დავლევ, სამადლობელს, მაგრამ
თუ კიდევ დაგილევია, ამ მანქანას, შენს
შვილს კი არა, შენს ცოლს მიჰყიდიან!..

როდემდე უნდა ვუყურით?!

დღეს, როცა ლაღმა ცხოვრებამ სიკეთე გაგვიასკეცა, —
ზოგმა ნინაპრის ჩვევები გადათელა და დაკეცა:
ძეობასა და ქორწილში სულ სხვანაირი ლხინია,
რვაასკაციან სუფრაზე წყალს მოგიტანენ ღვინიანს!..

სადღაც ვიღაცა იმღერებს, ვიღაც გადავა მალაყსა,
პირში წყალივით ისხამენ კონიაკსა და არაყსა!..
ყბას მოიქნევ და მაშინვე თავს დაგადგება „მოვალე“,
გეტყვის: „ქორწილის ფონდებში ხუთთუმნიანი მოლალე!“

დაიბოღმები, ხასიათს დაეფარება ღრუბელი,
დაითარსება ოჯახის ახალშექმნილი უღელი!..
გულზე სკდები და გევსება ფიალაც მოთმინებისა!..
რას იზამ?! — ასე ყოფილა გზა იოლ გამდიდრებისა!

ჭირი გვაშოროს სუყველას, გლოვა და უბედურება! —
ცრემლი შეშვენის მწუხარეს, თალხით რომ დაიბურება!
მაგრამ ვინ აცლის მოზარეს ცრემლის შეშრობას თვალებზე?! —
ქელეხის მოყვარულები ჩამოსხდებიან კარებზე,

შეუჩნდებიან მოტირალს, ფუსფუსითა და ფათურით,
ძველ ადათს მოიგონებენ თავის ჭერით და სართულით,
დარბიან მერე საშოვრად ათასნაირი მარშრუტით,
ხორაგს ეძებენ აქა-იქ, უსაბუთოდ, თუ საბუთით!..

რვაასკაციან სუფრაზე შვილი ვერა ცნობს დედასა,
ვის ახსოვს მიცვალებული?!. ვიღაცა ფულებს ხვეტავსა!..
სამი დღე მიდის ქელეხი ხაშლამით, ხინკლით, ხაშითა,
გლოვით დაზაფრულ ოჯახში გრძელი მაგიდის გაშლითა!..

მერე ყვირიან საქვეყნოდ — ხან კრინით, ხანაც ბანითა:
„ეს მავნე წეს-ჩვეულება უნდა მოვკვეთოთ დანითა!“
ზომიერ სუფრას ვინ წუნობს, სიტყვაა კაცის მკურნალი,
ვაი, იმ ჭირისუფალსა, მარტო თუ დარჩა მწუხარი!

მაგრამ იმ რვაასკაციან სუფრის ნამდვილი სახელი
არის მწუხარე ოჯახის მეორე დიდი ნაღველი!..

გავა დრო, სასაფლაოზე აღიმართება სართული!..
მიცვალებულის ხსოვნისთვის სამსახურია დათვური —
მარმარილო და გრანიტი, ყველა ყირაზე დადგმული,
(ათჯერ მეტს იღებს ოსტატი, „კარგი ხელობით“ განთქმული!)

დაეფარება საფლავზე, როგორც სიბნელე ღამისა,
როგორც ყვავილთა წალკოტში მოვარდნა ნიაღვარისა!..
ზედ ლექსსაც ამოკვეთავენ, ზოგჯერ — ოსტატის სახელსაც!..
რა უშავს უგემოვნებას! — ხომ გააგიჟებს მნახველსა?!.

ასე იმატა სიხარბემ და განდიდების წყურვილმა,
ნამბაძველობამ, შურმა და გამოჩენათა სურვილმა!..
ზოგი, ქელეხის იმედით, დგება მანქანის რიგშია,
ადვილად ფულის მშოვნელი აღარ ისვენებს ძილშიაც!

ბებიას „ჟიგულს“ ეძახის, ანდა — „ნივას“ და „ოცდაოთხს“,
წრიალებს, უნდა სიკვდილსაც ქაფი და ქონი მოხადოს!..
აი, ცუდ წეს-ჩვეულების მეტასტაზი და ნაზარდი,
ნყლული, ფუღურო, ეგზემა, გუდაფშუტა და სახადი,

ნერგს მოხვეული ეკალა, ვარდზე ასული ფათალო,
ყვავილს რომ შემოხვევია და სურს, ჩრდილებით დაფაროს!
ვინ ჩვენ და — მანკიერება! — მუხას გაახმობს ფუღურო!...
ზოგიერთების სიხარბეს როდემდე უნდა ვუყუროთ?!

ვალერიან მამუკელაშვილი

ნახ. ი. ყეინაშვილისა



უსიტყვოდ

ნახ. ჟ. დეისაძისა

— მათხოვე მაგი შენი შავი „ლაიკის“ პალტო, პანაშვიდზე ვარ წასასვლელი!..

ნახ. მ. აბაშიძისა



— რას შვრები? აუქმებ კარებს?!.
— აბა, რა ვქნა?! აგარაკზე მივდივართ!..

ჭიდი — საკუთარ კუჭზე!..

„პატივცემული ნიანგო! გელი საკუთარ კარში, უმეტეს შემთხვევაში, გადის მონინააღმდეგე ეუფლის აქტიურობის შედეგად, ასე ეოქვათ, აიძულებენ ზედელ (ყველა ზედელი, რომდენაც საკუთარ კაროთ თამაშობს!) — თავის მეკარეს გაუგანონ გელი! ცხოვრებაში ასეთი შემთხვევა, რამდენიც ბენეადეო, იმდენია. მე ვმუშაობ ისეი სანარშიო, სადაც ფარნთ მოხმარების საგნები მზადდება, ძალალ-ნენს არ ეიმუერენი, მაგრამ ეენა და ვერ მიეკალნი ხარისხის ნიპანს! ეს კიდევ არაფერი! — ჯარიმებს ვეღარ აკუდიკარ! ძალლს თავი კი იცი, საგარის დამარხული?! — ხუდ სხვა საანარშიო! — იქ, სადაც ჩვენთვის ნედლეული მზადდება და რითაც პროდუქციას ეკმაენ! თუ ეიმიკეეთო, უარესია— ფრაოდად ალარ მოკავლიან ნედლეულ, ეკემას ჩაგეიშლება და ეარო ასე, თეეზიეთი! — საათქმელი ბევრი ვკიქეს, მაგრამ...

ნიანგო! იქნებ, თქვენ თქვათ ჩვენი საათქმელი?! ჩემს ეინათას არ ვამაბენ ლუკ, რადგან, შეიძეეა, ჩემს საანარშოს ეტყუბართ! ერთი სიტყვით, არ ნინდა, ინგრიგანი კაცის სახელი მემარქვანს!..

ოქვენი ეკმეე მარილი
ანონიმი ინგრიგანოვიჩი.

ამბრრია არ ალმოუჭენი ინგრიგანოვიჩს, მაგრამ საინტერესო საკითხი დაადეინა, ამიტომ ეოფა ფეანიეკეთ, ეოოტა საკუთარი ტკაეიეს მოთეფრთხილებეკენ ანონიმ ატკოოს ნიანგი ნუნდიეულ მადლითას უნდოა ეთქოს, რეაბრია — „ეოლი — საკუთარ კარში" კალაკ ბუსკლეთის ნოედანნე გამოოქეკა.

სუმბრედია: — „ეოლი — საკუთარ კარში — მე ეოფრო ფარნთ ბამბებამთი ნარმოდგენია, — ეკეუბენეი ბა საკარიეველოო კოოპერატიის სამეტრედიის რიაკოოის პირველი მდივანი თამარ ინდდარე, — რადგან ხარისხი მარტო ეროოდუქციას კი არა აქეს, არამედ — თვალით დაუნახავ მოელენბაცა. მაგალითად, დისციპლინა. მაღალია, ეროოდუქციის ხარისხიც მაღალია! ეს, თუნდაც, ეუფლი ორგანიზებული საქმე საკუთარ კარში გაგანილი ეოლი არ არის?! ანსაგომს ასეთი მაგალითებიც — ერთი სანარშო კარგად მუშაობს და ეკეგზეს ასრულებს, მეორე — ეეერა, მაგრამ ისეეეა სნო. რეგ ამ, რომელე კარგად მუშაობს! ნაოძვანთი რომ ნოგადი არ გამოფიფიეს! კოორეტულ მისაპარის მოგეეეთ — „ეოფილი საკუთარ, სილის ოპოეეების სანარშო.

ვიფეეეთ რეინის სანაპირის და ენახეთ უცხო კაცი, ჭედარი ნყლისა კარსა. — როგორც იტყვიან, არ ეუსნიდა ფანა პირსა!.. ეინაა ეკეიეთეი. ეაფეეთ სილის ოპოეეების სანარშოს ფიფრეტერორი. კოსალეეეეეი აღმოჩნდა. ეაფეა მისი მნუხარის მიეუნით დაეინტერესეთ. კარგი რამ ეგეინეეეეე

ნახ. ჯ. ლოლუასი

— შვილებო, შეწყვიტეთ გალობა! უნდა გავფრინდეთ აქედან! ჩვენ ამათთან არაფერი გვესაქმება!

ნარევი

რაცწინადადება

ენის სინმინდისა და, აგრეთვე, ყველა საგნის საკუთარი სახელის დაცვის მიზნით, გთხოვთ, სახელი შეუცვალოთ და შესაბამისი სახელწოდება მისცეთ მატარებლის საძილე ვაგონების ლოგინის მოწყობილობას: **შავეული** ან **რუხეული** — ადრე წოდებული **თეთრეულის** ნაცვლად!

ტაქტის შესახებ

ტროლეიბუსში ამოდის შუახნის, თმაჭაღარა კაცი. ახალგაზრდა ქალი დგება სკამიდან. თმაჭაღარა მადლობას უხდის და არ აძლევს ქალიშვილს ადგომის საშუალებას. ქალიშვილს კი ჩასვლა უნდოდა და იმიტომ ადგა.

დიალოგები

ახალგაზრდას, რომელიც მეტროში მზესუმზირას ჭამს, ვილაც მითითებას აძლევს.

— როგორ ფიქრობთ. სწორად იქცევა ის „ვილაც"?

— რასაკვირველია, არა! ახალგაზრდას არავინ არაფერს არ ეუბნება და ეს „ვილაც" ვინაა?!

●

— ესკალატორზე ჩასვლისას სლალომის ოსტატობა უნდა გამოიჩინო!

— ასვლისას?

— ...?!

●

— ჩვეულებრივი, თეთრი სანთლები გაქვთ?

— ეჰ, ჩემო ძმაო, ეგ სანთლები სანთლით არის საძებარი!

●

ქალი: არ ჩაუშვათ!.. არ ჩაუშვათ!..

მგზავრები: დაიჭით! არ ჩაუშვათ! დაიჭით!

ვილაც: გამიშვით ხალხო! რას მერჩით?!

ხალხი: ვინ არ ჩავუშვათ, ქალბატონო?!

ქალი: შაურიანი!.. შაურიანი არ ჩაუშვათ! თუმცა ჩაუშვით! აბონემენტი მქონია!..

სოსო ლებანიძე

ტყის იგავი

ლომებს თავი მოეყარათ და ძლიერებაზე ბჭობდნენ. ერთმა ლომმა წინადადება წამოაყენა:

— ჩვენ, ცხოველთა მეფენი, ხომ ყველაზე ძლიერნი ვართ?! რა საჭიროა, იყვნენ სუსტებიც?! მოდით, ყველა სუსტი არსება ლომად ვაქციოთ, ვინც ურჩობას გაგვიწევს, მოვსპოთ!

მოეწონათ ლომებს ეს აზრი. ერთმა ხანში შესულმა ლომმა სამ ახალგაზრდა ლომს უბრძანა: წადით, იარეთ და ყველა ცოცხალ არსებას ლომად-ქცევა შესთავაზეთ, ვინც უარი თქვას, ჩემთან გამოგზავნეთ და ეგ მოვუვლიო!

ლომები გზას გაუდგნენ. მოულოდნელად ქამელეონი შემოეყარათ მწვანე მინდორზე.

— შენ, ეი, შეჩერდი და გვითხარი, რა ცხოველი ხარ?! — შეუყვირეს.

— მე ქამელეონი გახლავართ!

— რა ულამაზო ხარ! უმჯობესია, ლომად გადაიქცე! თუ ნებით არ ისურვებ, სულ ერთია, ძალით გაგალომებთ!

— კი, ბატონო, თანახმა ვარ, მაგრამ სახლში და-ძმა მყავს დატოვებული, იმათაც გავაგებინებ, სამივე მოვალთ ხვალ ამ ადგილზე, თქვენც მობრძანდით და გადაგვაქციეთ ლომებად!

დათანხმდნენ ლომები. მეორე დღეს დიდი თოვლი მოვიდა. ქამელეონები გამოცხადდნენ დანიშნულ ადგილას, მაგრამ ლომებმა, რა თქმა უნდა, ვერ იცნეს ისინი — თეთრად ფერშეცვლილნი. დიდხანს იცადეს, ბოლოს გადაწყვიტეს, ქამელეონმა მოგვატყუაო, და ხელმოცარულნი გაიძურწნენ.

ქამელეონებმა ამაზე ბევრი იცინეს.

გაგულისებულ ლომებს გზაზე ახლა კუ შემოხვდათ.

— ვინ ხარ?!

— კუ.

— ეგ რა კუზი გაქვს?!. რას ჭგავხარ?! სჯობს, ლომად გადაიქცე! თუ ურჩობას გაბედავ, ან მოგსპობთ, ან ძალით გაგალომებთ!

— მე თქვენი არ მეშინია და არც ვაპირებ ლომად გადაქცევას!

— ეს რას ბედავს?! — დაიღრიალა ერთმა და პირი დააღო კუს გადასაყლაპავად. კუ კი ჯავშანში შეძვრა.

ლომმა პირი დასტაცა კუს, დიდხანს ატრიალა, მაგრამ ვერ გადაყლაპა, კბილებიც ჩაემტვრა...

მეორე და მესამე ლომსაც იგივე დღე ეწია.

ბოლოს კუმ ჯავშნიდან თავი გამოყო ერთი გულიანად გადაიხარხარა და, კუს ნაბიჯებით, თავის გზას გაუდგა.

კბილებჩამტვრეული ლომები საგონებელში ჩავარდნენ.

ერთმა მათგანმა თქვა: ფუტკარი, მაინც ვაქციოთ ლომადო! ყველას ჭკუაში დაუჯდა ეს აზრი.

— ვინ ხარ, რას დაბზუი?! — ჰკითხა ერთმა ლომმა.

— თაფლს ვამზადებ! — საქმიანად მიუგო ფუტკარმა.

— რას ამზადებ, ეს ჩვენ არ გვაინტერესებს! ლომად უნდა გადაიქცე!

ფუტკარს გაეცინა და ლომებს უთხრა: ძალიან კარგი აზრი მოგსვლიათ, მაგრამ მარტო მე რომ გადავიქცე ლომად, ეს რას შეგმატებთ?! მთელ ჩემს ოჯახს მოვიყვანსულ ცხრაასნი ვართ და ყველა ლომებად ვიქცევითო!

ლომებს გაუხარდათ.

ამასობაში სამ ჯგუფად დაყოფილი ფუტკრებიც გამოჩნდნენ, ლომები ღიმილით შეეგებნენ, მაგრამ, ვაი, ამ ღიმილს! — თითო ლომს სამას-სამასი ფუტკარი შეესია და ისე დაკბინა, რომ მათი ღრიალი ცასა სწვდებოდა!..

ლომები ისევ საგონებელში ჩავარდნენ — ვერც ერთი ცოცხალი არსება ვერ აქციეს ლომად!

ამ დროს გამოჩნდა ირემი, რომელსაც ლომებმა თავიანთი გასაჭირი შესჩივლეს. მზვინიერმა ირემმა ლომებს უთხრა:

— ვინც გამოგგზავნათ, იმას გადაეცით მარტო ლომები რომ იყვნენ დედამიწაზე, ცხოვრება მოსაწყენი და უინტერესო იქნებოდა. ბრძენმა ბუნებამ ყველა ცოცხალ არსებას თავისი სახე მისცა, თავდაცვის თავისი საშუალება და უნარი! გადაეცით ყველა: უგუნურს, რომ ბუნების კანონების შეცვლა შეუძლებელია!

კუდამოძუებული ლომები უკან გაბრუნდნენ.

შინდაბრუნებულებმა სხვებსაც უამბეს, რაც გადახდათ. ლომები ღრმად ჩაფიქრდნენ და ყველა თავ-თავის გზაზე წავიდ-წამოვიდა.

ვლადიმერ გოგიბერიძე

ნახ. ა. ...ლაკისა

— ქალო, შვილები და შვილიშვილები ...ალაქში გაგვექცნენ საცხოვრებლად და ამათი იმედი გაქვს?!.

ქალა ნაცვალსახელისა

ნ ზ ო ო პ ა რ კ ი ს დირექტორმა თავაზიანად მიმიღო, სკამი მომაწოდა და ღიმილით მკითხა:

— რა მოიყვანე?

— კატა, ბატონო!

— დიდი უნდა იყოს, პატარებისათვის ადგილი არა გვაქვს!

— იმოდენაა, რომ ყუთის გახსნის მეშინია კიდეც.

— რა იცის?

— კბენა, ღრენა, წიხლი, კნავილი, და, ძილის დროს, ხრიალებს კიდეც.

— ანტენის ბრალი იქნება!

— ანტენა რა შუაშია, ბატონო?! მე კატაზე მოგახსენებთ!

— მაპატიეთ, ჩაფიქრებული ვიყავი და...

— ერთი სიტყვით, ვეებერთელა კატაა!

— ვნახოთ! — თქვა და ყუთს ფრთხილად ახადა თავი. მაგიდის უჯრიდან გამადიდებელი ამოიღო, თვალზე მოირგო და ერთხანს ყურადღებით ათვალიერებდა.

— კნუტია! — ამოიოხრა გულდანყვეტით.

— არაფერი ეშველება?! — შევხედე ვედრებით.

— სამწუხაროდ, არაფერი! ჩვენ გვქონდა ასეთი შემთხვევა და იცით, რა ვცადეთ?! — ხეზე კუდით გამოვაბით, კისერში ხელი ჩავავლეთ და გავქაჩეთ. სიგრძეში კი მოიმატა, მაგრამ დანვრილდა. ასე რომ, მისი მიღება ჩვენთან შეუძლებელია! — გაშალა ხელები.

— რა გაეწყობა! — ვთქვი და დავემშვიდობე.

მეორე დღეს დირექტორმა გადაჭარბებული თავაზიანობით მიმიღო.

— გუშინ საღამოს იმან იქიდან ხომ დაგირეკათ?! — ვკითხე შესვლისთანავე.

— დიახ, დიახ, დაბრძანდით! რა მოიყვანეთ? — მიაჩერდა ყუთს.

— ისევ კატაა!

— აბა, ვნახოთ! — თქვა და უჯრა გამოაღო, ისევ გამადიდებელი ამოიღო და თვალზე მოირგო.

— ვერ გამაფრთხილეთ?! — იყვირა და ელვის სისწრაფით უკან გადახტა.

— რა მოხდა?! — შევხედე გაოცებით.

— ლომი ყოფილა!

— ვეფხვია, ბატონო! — ზრდილობიანად განვუმარტე.

— თავმდაბლობასაც თავისი საზღვარი აქვს!

— ესე იგი, დაიტოვებთ არა?!

— სიამოვნებით!

— კარგად ბრძანდებოდეთ! — წამოვდექი და დავემშვიდობე.

— ნუ დაიკარგებით, ყმანვილო, ერთი ლომის იმედზე ნუ დაგვტოვებთ! — მომაძახა დირექტორმა.

გურამ ნემსწვერიძე

ვაკანტური ადგილი

ბატონმა ბ ო ნ დ ო მ, „საქვარჯერტრესტის“ მმართველმა, დიდად გამჭრიახმა კაცმა, როცა აღფრთოვანებული მდივან-მემანქანე, ქალბატონი ელენე, ჩვეულებისამებრ დინჯად შემოსვლის ნაცვლად კაბინეტში შემოჭრილ-შემოვარდნილი დაინახა, უმალ იაზრა, რომ საქმე ეხებოდა სრულიად განსაკუთრებულ შემთხვევას.

— ბატონო ბონდო, ბატონო ბონდო! — სიხარულს ვერ მალავდა ქალბატონი ელენე, — მოვიდა, მოვიდა, აქ არის!

ბატონი ბონდო ბუნდოვანი საუბრის მომხრე არასოდეს ყოფილა, და ამიტომ წინდახედულად იკითხა, ვინ მოვიდაო?!

ქალბატონმა ელენემ დაუსახელა.

მმართველმა რესპუბლიკური მნიშვნელობის თანამდებობის პირთა ...ელავ სიას გონების თვალი გადაავლო და ამ გვარისა რომ ვერავინ ...ამოაჩინა, გაიკვირვა, ვინ არისო?!

ქალბატონმა ელენემ თავაზიანად მოახსენა, რომ ეს ის კაცია, ვინც მეზობელი საწარმო ჩამორჩენილებიდან მოწინავეთა რიგებში გაიყვანა და ახლა ჩვენ მთავარი ინჟინრის ვაკანტურ თანამდებობაზე მიღებას გვთხოვს.

— როგორი მუშაკია?

— მთავრობის ჯილდოები და მადლობები აქვს, რაციონალიზატორია, საქმის მცოდნე, კარგი ორგანიზატორი და დაუღალავი მუშაკი!

— ძველი სამსახური რატომ მიატოვა?

— საინტერესო იქ აღარაფერია, ის საწარმო უკვე მოწინავეთა რიგებშიაო! საოცარი კაცია, ბატონო ბონდო, საოცარი! ხომ არ გაეუბრებოდით?

— შემოიყვანეთ!

მდივან-მემანქანე სასწრაფოდ გაუჩინარდა და ასევე სასწრაფოდ შეუგზავნა ის „საოცარი კაცი“ მმართველს, მაგრამ ავად ენიშნა „საოცარი კაცის“ უმალვე გამობრუნება და, რაც მთავარია, დამშვიდობება. რატომ „მშვიდობით“ და არა „ნახვამდის“?! გაუელვა მდივან-მემანქანეს, როცა მმართველის ზარზე შავი ტყავით აკრული კარი შეაღო.

— ამ კაცს ვერ მივიღებთ! — მოკლედ მოჭრა მმართველმა. — არა, კარგი სპეციალისტია, ვიცი, მცოდნე, გამრჯე და ჭკვიანი, მაგრამ... თქვენ დააკვირდით, როგორ შემოვიდა?! დააკვირდით?!

— როგორ? მე მგონი, ჩვეულებრივად, თავაზიანად!..

— არა, ქალბატონო ელენე, როგორც ჩანს, თქვენ ვერ გამჩნევთ უმთავრესს, უმთავრესს! აი, ახლა მე გამოვიძახებ ჩვენი საამქროს უფროსს, ბერკაძეს, და დააკვირდით, როგორ შემოვა იგი! ვერ გამიგია, რატომ სურს ყველას მისი გათავისუფლება?! პირიქით, მე იგი სწორედ მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე უნდა დავაწინაურო! დიახ, და, გთხოვთ, ბრძანების პროექტი შეამზადოთ სასწრაფოდ!

მმართველმა დიქტოფონის ღილაკს თითი დააჭირა და ოთახში უმალ გაისმა მორჩილებით აღსავსე ხმა:

— გისმენთ, ბატონო ბონდო! გისმენთ, ბერკაძე გახლავართ!

— ამოდი ჩემთან!

წუთიც არ გასულა, რომ კარი გაიღო და ოთხად მოკეცილი ბერკაძე შემოვიდა.

— გამარჯობათ, ბატონო ბონდო! გისმენთ, ჩემო ბატონო! რით შემიძლია გემსახუროთ?!.

— როგორა ხარ?

— თქვენ ბრძანდებით ჩვენი იმედი და თქვენი კარგად ყოფნაა მხოლოდ ჩვენი სიხარული!

— დაჯექი!

— როგორ გეკადრებათ, ბატონო! თქვენი თანდასწრებით?! ღმერთის ტოლი კაცი ბრძანდებით!

— მაშინ წყალი მომიტანე!

— ახლავე, ბატონო!

ბერკაძე, როგორც მაღალგემოვნებიანი მწერლები ამბობენ ხოლმე, შურდულივით გავარდა და ცოტა ხანში ჭიქა წყალი შემოარბენინა.

— შეგერგოთ, ბატონო! კარგად გავაცოვე... კიდევ ხომ არ გნებავთ?!

— არა, წადი!

— გმადლობთ, ბატონო!

და ბერკაძე ისე წავიდა, უფროსისათვის ზურგი არ შეუქცევია. თან ზღურბლთან ბოდიში რამდენჯერმე მოიხადა. როცა კარი გაიხურა, გამარჯვებულმა მმართველმა თავის მდივანს ნიშნის მოგებით გადახედა:

— თქვენ კი... ის თქვენი „საოცარი კაცი“ ჩემს კაბინეტში ისე შემოვიდა, თითქოს აქ იყოს დაბადებული! გასაგებია?!

— გასაგებია!

— ჰოდა, ასე! მე წავედი! თუ ვინმე მიკითხავს, „იქ“ გამოიძახეთქო!

— „იქიდან“ რომ მოგიკითხონ?!

— მაშინ სახლში დამირეკეთ!

მმართველი წავიდა, ხოლო ქალბატონი ელენე კიდევ დიდხანს ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ შეივსო თავის კანტურით ვაკანტური ადგილი.

ზურაბ რცხილაძე

ფრაზები

● **დროის** გამფლანგველი ვერაფერს მოიხვეჭს.

● **თუ** ყველას მიმართ ურწმუნო ხარ, ნუ გაგიკვირდება, შენი ურწმუნოებისაც არავის სწამდეს!

● **კაცს ხელი** გაუწოდე არა იმისათვის, რომ ფულს მოგაწვდის!

● **იმპაპი** ბრძენი, იყავი ჩუმიც, მაგრამ არა — მუნჯი!

● **სასაცილოა:** სიკვდილისა იმათაც ეშინიათ, ვისი სიცოცხლეც სიკვდილია.

● **ძნელია,** მაგრამ აუცილებელია, კაცს ხელი გაუწოდო, თორემ ხელის ჩაქნევა ყველას შეუძლია!

რომან ზუკაკიშვილი
(საგარეჯოს რ-ნი)

ნახ. ვ. კუციასი



სამსახურებრივი ცაიტნოტი

ლოგის ძირშიც შეიძლება ძეიფი!..

პაპაჩემი, კაცრიელი, მშრომელი და სტუმრის მოყვარული კაცი ყოფილა. როგორც კი სტუმრები მოუვიდოდნენ და სუფრა გაიშლებოდა, მუქთა ყიპიტაურის გადახუხვას მიჩვეული ზოგიერთი მეზობელი მაშინვე კაცრიელის სახლის წინ გაჩნდებოდა.

— ჰაი, კაცრიელო! მჭრელ ცულ გექნება, მათხუე! — დაიძახებდა ერთი.

— ბიძავ, პაპიროზ ხვარა გაქვ, წეკვა გამითავდა! — მიაყოლებდა მეორე.

პაპაჩემი სკამიდან არ დაიძვრებოდა, მაგიდიდან ამაყად გასძახებდა: „რომელი ხარ?! რა შორიდან იძახით?! შემოდით სახლში!“ მეზობლებსაც მეტი არ უნდოდათ, მაშინვე სპპატიო სტუმრების გვერდით გამოიჭიმებოდნენ. იწყებოდა სმა, სიმღერა. მეზობლებს სხვა სიკეთე თუ არაფერი შეჰქონდათ კაცრიელის სახლში, შესვლისას ერთს ხმამაღლა მაინც იტყოდნენ: „აგაშენოთ! აგაშენოთ ღმერთმა!“

...ასე გრძელდებოდა წლების მანძილზე. პაპა კაცრიელი კი ძალზე იშვიათად თუ მოხვდებოდა ამ გაურჯელი, ძუნწი და სუნსული მეზობლების სუფრაზე.

ერთ ჩვეულებრივ დღეს პაპა კაცრიელს კვლავ სტუმრები ეწვივნენ. ჩვეულებრივ გაიშალა სუფრა. ცხვარიც დაიკლა. ორღობეში კვლავ გამოჩნდნენ დაუპატიჟებელი მეზობლები. კვლავ გაისმა მათი ნაცნობი, სავიზიტო სიტყვები: „ჰაი, კაცრიელო! ხერხი მჭირდება, შენ კაი გალესვა იცი!“

მეზობლები მალე ხანკლით სავსე ხონჩის გვერდით აღმოჩნდნენ. ის-ის იყო, დასხდომას აპირებდნენ, რომ ომახიანად დაიძახეს: „აგაშენოთ! ღმერთმა აგაშენოთ!“ პაპაჩემი მიხვდა მეზობლების ოინს და ვეღარ მოითმინა:

— ერთხელ თქვენი ოჯახები ააშენოს ღმერთმა! დაიკარგენით აქედან! თქვენი გამჩენი!..

ორი კაცი ცივად გაბრუნებულა ოთახიდან. მათთან ერთი პატიოსანი კაციც ყოფილა, ... ხოხა. იგი იმხანად სახლს აშენებდა და მეზობლებთან იყო შეხიზნული. დარცხვენილს ესლა მოუხერხებია:

— სახლი არა მაქვ, ბიძაო! აბა, სად დაგპატიჟოო?!.

— შენ სახლ მე რად მინდა?! — მაშინვე მიუგია პაპაჩემს, — არაყს ღობის ძირშიაც კარგად დავლევ!

იმ დღის შემდეგ მეზობლები პაპა კაცრიელთან უმიზეზოდ აღარ მიდიოდნენ.

ადვილად ნუ დავაგრალებთ!

კაცრიელი თეთრახევიდან სოფელ ასკილაურში (საგარეჯოს რ-ნი) გათხოვილი ქალიშვილის სანახავად წასულა. უკვე ჭარმაგი იყო, მაგრამ მაინც ლაზათიანად გამოიყურებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩოხა-ახალუხში გამოეწყობოდა და თავის იორღა ცხენზე ამხედრდებოდა. სოფელ ასკილაურისაკენ მიმავალი გზა დღესაც არ ვარგა და მაშინ, ალბათ, ველ-ტყიანზე მიმავალი საცალფეხო ბილიკი თუ იქნებოდა. ველ-ტყიანში, აქა-იქ, ცხვრები ჩანდნენ. მალე წინდის ქსოვით მომავალი ფშავლის დედაკაციც გამოჩნდა. პაპაჩემს ქისტაურების ყანებისაკენ უნდა შეებრუნებინა ცხენი, რომ ხელწინდიანი ქალის ძახილი შემოესმა:

— დაყენე ე ცხენი, ბიჭო! რარიგად ჰგავ იმ ჩემ ცხენსა, განა დიდი ხანია, რაც დავკარგეთ!

კაცრიელმა ლურჯა შეაჩერა. თვალებგაფაციცებული ქალიც მიუახლოვდა, ცხენს ყურებზე დაუწყო თვალიერება.

პაპაჩემმა ახედ-დახედა პირმწითურ, ნაწნავებიან დედაკაცს (ეტყობა, ცოტა გადაკრულშიც იყო) და თავისკენ თითი დაუქნია.

— მოდი, მოდი ჩემთანა! რა რიგადა ჰგევხარ იმ ჩემ ცოლსა!..

— დაიმეხე შენცა და შენი ცხენიც! — ტყვიანაკრავივით მოსწყდა იქაურობას გაწბილებული დედაკაცი.

ხვთისო არჩემაშვილი
(თიანეთის რ-ნი, სოფ. თეთრახევა)

რეკლამა — „გომბორი“

იცოდეთ, თაფლი „ტკბილია“
გომბორზე გამოტანილი!
გვერდით ფუტკრები ბზუიან —
იალაღს ამოყვანილნი!..

იქვე „ფურგონი-ვოლგა“ დგას,
გავსებულია ქილებით!..
გულში ვიფიქრე: „საიდან?!
მოედინება მილებით?!“

თვალი შევავლე მეფუტკრეს,
ბულდამშვიდებით ვუთხარი:
ნუთუ, ამდენ თაფლს სეზონში
ეოიტანს შენი ფუტკარი?!“

ძან მიპასუხა: „ძმობილო,
უტკარი მუშა მწერია
და მისი შესაძლებლობა
ჯერ არვის აუწერია!“

შემდეგ ჭაშნიკი ავუღეთ,
ბემო არ ჰქონდა თაფლისა,
რომ შევეკითხე — „ეს რაა?!“
პასუხი აღარ მაღირსა.

ამ შაქარწყალის მყიდველებს
დასცინის, ჭკუით ობოლი,
და გულში ფიქრობს: „კარგია
თაფლის რეკლამად გომბორი!“

შალვა შარიქაძე

წკიპურტები

მზარეული უგემურ კერძს რატომ გვაჭმევს,
კარგად ვიცი!
ისიც ვიცი,
ორმაგად რად გამატყავა!
ლუდის ბოთლში, დახუფულში, საცობები
როგორ მოსვდა, —
ვფიქრობ, მაგრამ, დამიჯერეთ,
ვერ მივმხვდარვარ!

●

ექიმმა დამიწერა რეცეპტი,
აფთიაქში ვერ კითხულობს ვერც ერთი!..
წინ და უკან ვატარებდი დიდხანს, დიდხანს,
ბოლოს მასვე მივუტანე წასაკითხად.
თვითონაც ვერ წაიკითხა! —
მე არ დამიწერიაო, ასე მითხრა!..

●

რატომ შეაჩერეს მშენებლობა?!
რატომ აიცრუეს გული?! —
რა ქნას, მის მშენებელს დასჭირდა და
შემოეჭამა ფული!..

●

გაიხედავ: მთელი გზები
მოფენილა საქონელითა!..
ვერ გაიგებ, ტრასაა თუ
საბალახო საძოვრები?!

●

— რატომ მოისუსტებს დირექტორი,
დისციპლინას რად ვერ ამყარებს?!
— გაავსო სანარმო ნათესავებით,
დისციპლინას როგორ დაამყარებს?!

●

ვერ გავიგე, გეფიცებით,
ეს ამბავი რატომ ხდება?! —
უსულგულოდ ეპყრობიან
თუ, უბრალოდ, ეზარებათ —
ამ ჩვენს სოფელ-ქალაქებში
ბევრგან არ ჩანს წარწერები!
თუ გამვლელი არვინ შეგხვდა,
სად ხარ, შენით ვერ მიხვდები!

ვალერიან ბოსაშვილი

70 წლის შაღვა შენგელს



მეგობრული ნაღები ბ. ფირცხალავასი

გულ: გაქვს გენიალური!
ჰუმორის ნიჭი ხალასი!
მადლიერია მამული —
შენი — შენგელი შალვასი!

ჩემი ავტორი ხარ ძველი!—
ვერ მოგისყიდონ,
„შეგკერონ“!
შემომიარე! — შენ გელი!
ნუ შემელევი, შენგელო!

ყურმოკრული დიალოგები

ატელიეში

— ამ პიჯაკს ჯიბეები არ დააკერო!
— რატომ, შე კაცო?!
— სადაც მივედი, ყველა ჯიბეებზე მიყურებს.

მაღაზიაში

— კარგი თოხი არა გაქვთ, შვილო?
— კარგი თოხიც არსებობს, ბიძია?!

ტარიელ მარგველაშვილი

განცხადებები

ვცვლი დაჯახებულ, გარემონტებულ „ჟიგულს“ — დასაჯახებელსა და გასარემონტებელზე!

●

ვხსნი მოსამზადებელ ჯგუფს საბავშვო ბაღში შემსვლელთათვის!

●

ვცვლი სამოთახიან, სინათლიან, ტელეფონიან ბინას — ერთოთახიან, უსინათლო, უტელეფონო, უსიდედრო ბინაზე!

გიგლა ბახტაძე

ზოგიერთ ხელმძღვანელს

ცოტა ნიჭმა და ცოტაც — ფორტუნამ —
შენ — ხელმძღვანელის გარგუნა სკამი
და კაბინეტი შენი მორთულა
მართლაც მეფურად! — ამაყობ ამით!..
შენ უნდა ეძმო ჰეშმარიტ საქმეს, —
მთელი სიცოცხლე დასჭირდეს თუნდაც, —
სიმართლისათვის, სიკეთისათვის
საკმეველივით იწვოდე უნდა!..
მაგრამ თუ თვალზე ჰეშმარიტებას
გადაეფარა სხვა ლიბრი ჭარბად
და ვეღარ არჩევ ერთმანეთისგან
ბნელსა და ნათელს, შხამსა და შარბათს,
თუ ვერ შეიცნობ ნაღდ გუთნისდედას
და გუნდრუკს უკმევ მლიქვნელს და ლაჩარს,
თუ გაგაბრუებს, გაგაყოყოჩებს
მოჩვენებითი ტაში და ვაშა,
თუ ვაზს შეაჭრი რქას სამამულეს,
ჭინკას ენდობი, წიქარას ნაცვლად,
თუ სიტყვით როკავ, როგორც ულაყი,
საქმეს კი აქცევ მტვრად, ანდა ნაცრად,
თუ აგერია გზა-კვალი წინსვლის
და უგერგილებ ეშმაკის წისქვილს,
თუ კიდევ შეგრჩა სინდისი — გრამი —
სჯობს, რომ დროულად დატოვო სკამი!

გიგა

ნახ. ი. უეინაშვილისა

უსიტყვოდ

7-83

ჭიანგი

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ჭიანგი“ № 10 (1644) მაისი. გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეგვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, ნოდარ დუმბაძე, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლილუა, ნოდარ მალაზონია (მხატვარი - რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (პასუხისმგებელი მდივანი), **გიგლა ფირცხალავა, ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ვაჟა ჭანიშვილი** (მთავარი რედ. მოადგილე). **ნაფი ჯუსოითი.**

●

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

●

გადაეცა ასაწყობად 26.4. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6. 6. 83 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 1,25, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,7. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის, 14 შეკვეთა №1185 უე 07181 ტირაჟი 138.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

●

ჩვენი მისამართი: 380008 ა.ბილისი-8 რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54. მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი - მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137

რეიგანის ადმინისტრაცია ჟენევაში საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების ბლოკირებისათვის განაგრძობს ყბადაღებული „ნულოვანი ვარიანტის“ გამოყენებას.

გაზეთებიდან

ნახ. ბ. ლოგვინოვი

83-440
ეროვნული ბიბლიოთეკა
№ 440
ბიბლიოთეკა 19 83
12 VII

წყლის ნაცვლად ვაშინგტონურად